



მოვუწოდებთ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შენწყვეტოს სასამართლოებში თავმჯდომარეების დანიშვნა სუბიექტური შეხედულების საფუძველზე

იუსტიციის უმაღლესი საბჭო განიხილავს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარის დანიშვნის საკითხს. დაუშვებელია თავმჯდომარეები თანამდებობაზე ინიშნებოდნენ წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებისა და პროცედურის არარსებობის პირობებში. დაუშვებელია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარედ დანიშნოს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



სასამართლო სისტემაში არსებული გავლენიანი ჯგუფის წევრი. აღნიშნული კიდევ უფრო გააძლიერებს კლანურ მმართველობას სასამართლო სისტემაში, მნიშვნელოვნად გაზრდის ინდივიდუალურ მოსამართლეზე კონტროლის რისკებს და დამღუპველია სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის. მეორე მხრივ, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ ისეთი მოსამართლის დანიშვნა, რომელსაც შესწევს უნარი არ მოექცეს შიდა გავლენის ქვეშ, დადებითად აისახება სასამართლოს დამოუკიდებლობაზე და მნიშვნელოვანი ეფექტი ექნება ქვეყანაში სისხლის მართლმსაჯულების განხორციელებაზე. აღნიშნულს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ვითარებაში, როცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ უკვე დანიშნულია მიხეილ ჩინჩალაძე, რომელიც კლანური მმართველობის ერთ-ერთ მთავარ ფიგურად მიიჩნევა.

სასამართლოების/პალატების/კოლეგიების თავმჯდომარეები წლებია აღიქმებიან ბერკეტად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელში, შესაბამისი სასამართლოსა და ინდივიდუალური მოსამართლის გასაკონტროლებლად და მოსამართლეების მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოსახდენად.

სასამართლო სისტემაში არსებული გავლენიანი ჯგუფი უმეტესად სწორედ სასამართლოების თავმჯდომარეებისაგან შედგება. გავლენიანი ჯგუფის წევრები არიან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი მოსამართლეებიც, რომლებიც ან სასამართლოს თავმჯდომარეობის ნიშნით აირჩევიან ამ თანამდებობაზე, ან საბჭო ნიშნავს მათ თავმჯდომარეებად მას შემდეგ რაც ისინი საბჭოს წევრები გახდებიან.

სასამართლოს თავმჯდომარეების არასათანადო გაძლიერებას და თავმჯდომარის თანამდებობით მანიპულირებას ხელი შეუწყო სასამართლო რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში მიღებულმა ცვლილებებმა. სწორედ მესამე ტალღის რეფორმის შედეგად იქნა გაუქმებული შეზღუდვა, რომელიც სასამართლოების თავმჯდომარეებს უკრძალავდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო წლებია არ უზრუნველყოფს გამჭვირვალობის მინიმალურ სტანდარტსაც კი თავმჯდომარეების დანიშვნისას. არც კანონმდებლობა არ განსაზღვრავს თავმჯდომარეთა შერჩევის კრიტერიუმებს და დანიშვნის პროცედურას, რაც სრულ შეუსაბამობაშია არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან. ყოველივე ეს ქმნის სერიოზულ საფრთხეს ინდივიდუალური მოსამართლეების და სასამართლოს შიდა დამოუკიდებლობისთვის.

რამდენიმე დღის წინ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ირაკლი შავაძემ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



აჭარის ტელევიზიის **ვეტერმი** ვრცლად ისაუბრა ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის, დავით მამისეიშვილის გავლენებზე სასამართლოში და კონკრეტულ მოსამართლეზე. მოსამართლის ეს უპრეცედენტო გამოსვლა სისტემის შიგნით არსებული პრობლემების შესახებ, ცხადჰყოფს, თუ რამდენად დიდია თავმჯდომარეების გავლენა სასამართლოში საქმეთა განხილვაზე და კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სასამართლო სისტემა სწორედ თავმჯდომარეების მეშვეობით იმართება.

მოვუწოდებთ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შეწყვიტოს სასამართლოების/პალატების/კოლეგიების თავმჯდომარეების დანიშვნა ყოველგვარი წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებისა და პროცედურის გარეშე, უზრუნველყოს თავმჯდომარეების დანიშვნის კონკურენტული პროცესი და სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნოს მოსამართლე, რომელიც აფილირებული არ იქნება კლანურ მმართველობასთან, ექნება ნდობა და დადებითი რეპუტაცია პროფესიულ წრეებსა თუ მთლიანად საზოგადოებაში.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა